ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5846329

ნომერი: AR1873450

თარიღი : 19.01.2022

გაცემის თარიღი : 14.03.2022

გაცნობის თარიღი : 23.03.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , N 6 ა-ს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , N 6 ა-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ სულხანიშვილი პ/ნ 01009018463
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორ. 2 ბ. 37

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- კულტურის და დასვენების ობიექტები
  - საგამოფენო დარბაზი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2022 წლის 19 იანვრის AR1873450 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ N 01.14.03.042.212 და 01.14.03.042.213 მიწის ნაკვეთებზე საგამოფენო დარბაზის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.
1. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე გადის ხაზოვანი ნაგებობა ს/კ 01.02.545(6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს.ქ. N3079-დან კ.ს.ქ.Nა1446-მდე/კ.ს.ქ. Nა1426, მესაკუთრე-სახელმწიფო), საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში შეთანხმებული გადატანის პროექტი.
2. საინფორმაციო დაფა-ბანერი -> .საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.: -> წარმოადგინეთ განახლებული საინფორმაციო დაფა-ბანერი, რომელზეც დაკორექტირდება საპროექტო ობიექტის სართულიანობა.
3. საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა გზის მოწყობასთან/ნაკვეთზე შესასვლელის მოწყობასთან დაკავშირებით.
4. წარმოადგინეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული სატრანსპორტო სქემა.
თქვენი განცხადება გადაგზავნილია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში (წერილის ნომერი: N60-01220731253; 14-03-2022) და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში (წერილის ნომერი: N60-01220731250; 14-03-2022) პოზიციის დასაფიქსირებლად, აღნიშნული პოზიციის მიღებამდე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული უწყებიდან პასუხის მიღებისთანავე ეს პასუხი გეცნობებათ შეტყობინების სახით, რის შემდგომაც საჭიროა შემოაბრუნოთ განაცხადი განსახილველად.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე.
აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2022 წლის 19 იანვრის AR1873450 განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.